2.4. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს პარლამენტს,

საქართველოს პრეზიდენტს,

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

2019 წელი, დეკემბერი

წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სააგენტოში შემოვიდა 107 განცხადება. აღნიშნული 107 განცხადებიდან სრულად დაკმაყოფილდა 103 განცხადება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3 განცხადება, არ დაკმაყოფილდა 1 განცხადება. საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივი გაცემის საფუძველს ორ შემთხვევაში წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27.2 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები, რომელთა საფუძველზეც ინფორმაცია მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად; ხოლო, მესამე შემთხვევაში ინფორმაციის ნაწილი წარმოადგენდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში დაცულ დოკუმენტაციას. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ადგილი არ ჰქონია.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სააგენტოს ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი. მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული

პირი. რაც შეეხება, საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივ გაცემის შესახებ გადაწყვეტილებებს, იგი მიღებულ იქნა შესაბამის ბრძანებებზე დაყრდნობით, რომლებსაც საფუძვლად დაედო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27.2 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები, რომელთა შესაბამისადაც ინფორმაცია მიჩნეულ იქნა კომერციულ საიდუმლოებად. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;

სააგენტოში 2015 წლის პირველი აპრილიდან ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს), ხოლო, 2017 წლის 28 აპრილიდან ფუნქციონირებს ინტერაქციის ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა. მონაცემების ბაზის შექმნა აღნიშნულ პროგრამებში ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;

აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებებას ადგილი არ ჰქონია. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;

საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივ გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებიდან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გასაჩივრდა 1 გადაწყვეტილება და შედეგად, გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.